ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

25 ივლისი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 139 (10808) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს სპორტსახკომში

სპორტი და ფსიქოლოგია: პერსპექტივა საიმედოა

უდავო ფაქტი გახლავთ: თანამედროვე ცხოვრების პირობებში დღითი დღე იზრდება ფსიქოლოგიური სამსახურის მნიშვნელობა. დღეს ყველა აღიარებს, ყველა გრძნობს, რომ ფსიქოლოგებთან კონტაქტს დიდი პრაქტიკული დახმარების გაწევა შეუძლია ნებისმიერი დარგის მუშაკთათვის. სამწუხაროდ, ამ უცილობელ ჭეშმარიტებას დიდი ხნის მანძილზე არად ვაგდებდით და ამიტომაა, რომ დღეს ხშირად გვიწევს „ფსიქოლოგიური ყამირის“ გატეხვა.

ცალკეულ, ფაქტობრივად, გამონაკლის შემთხვევებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ამ თვალსაზრისით არც სპორტი წარმოადგენდა გამონაკლისს. ამიტომაა განსაკუთრებით საყურადღებო, ვითარების სასიკეთოდ შემობრუნებისაკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი.

ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა სპორტის ფსიქოლოგთა ასოციაცია. საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარე ნ. ენდელაძე შეხვდა და ესაუბრა ამ ასოციაციის ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებს.

დღეს, როდესაც ვფიქრობთ და ვირჯებით ქართული სპორტის სუვერენიტეტის მოსაპოვებლად, საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებლად გასასვლელად, აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ იმაზეც, რომ მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ სპორტის ფსიქოლოგთა ეროვნულ სკოლას — აღინიშნა შეხვედრაზე. — უცხოეთში, მაგალითად, სპორტსმენთა და ფსიქოლოგთა თანამშრომლობას დიდი ხნის ტრადიცია აქვს.

სამწუხაროდ, ჩვენში იშვიათად შეხვდებით გუნდსა და სპორტსმენს, რომლებიც ფსიქოლოგიური სამსახურის სიკეთით სარგებლობდნენ. მწვრთნელთა და სპორტსმენთა მხრიდან აშკარაა უნდობლობა ამ სამსახურის მიმართ, მისი მნიშვნელობის უგულებელყოფა. სავალალოა ისიც, რომ განვიცდით კვალიფიციურ სპეციალისტთა ნაკლებობას, არ გაგვაჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ასეთია დღეს არსებული რეალური სურათი — განაცხადა სპორტის ფსიქოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტმა ა. გრიგოლავამ, — ამ პრობლემის გადაჭრასა და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში საქართველოს სპორტსახკომის იმედი გვაქვს, ასოციაცია კი თავის მხრივ, არ დაიშურებს ძალისხმევას, რათა საქმით განამტკიცოს და აამაღლოს სპორტულ ფსიქოლოგთა პროფესიული ავტორიტეტი.

შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ აგვისტოს ბოლოს სპორტსახკომში მოეწყოს მრგვალი მაგიდა, რომელსაც დაესწრებიან სპორტსმენები, მწვრთნელები, სპეციალისტები, სპორტსაზოგადოებათა წარმომადგენლები და სპორტის ფსიქოლოგები.

სპორტსახკომის ხელმძღვანელობამ თანამშრომლობა და დახმარება აღუთქვა ასოციაციის წარმომადგენლებს მათს საქმიანობაში.

სასიხარულო სტრიქონები

გიორგი ივანიშვილი — მსოფლიო თასის მფლობელი

ეს ორი ცნობა გუშინ საქართველოს სპორტსახკომიდან მივიღეთ. კანადაში დამთავრებულ თავისუფალი სტილის ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიო თასის გათამაშებაში საქართველოს წარმომადგენლები კარგად გამოსულან. ერთ-ერთ მათგანს — გიორგი ივანიშვილს ყველა შეხვედრა მოუგია და საპატიო პრიზიც მოუპოვებია. თავი გამოიჩინა მეორე ჩვენმა თანამემამულემ — გივი სისაურმაც — იგი მეორე ადგილზე გავიდა.



დღეს კი თურქეთს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჭაბუკთა პირველობაში. გუნდში შეყვანილია ორი ჩვენი მოჭიდავეც — ელდარ კურტანიძე და ზაზა ზოზიროვი.

• • •

სურათზე: გიორგი ივანიშვილი.

კეთილი ნების თამაშები

ახალი გუნდი. ახალი პრობლემები

სიეტლი. კალათბურთელ ვაჟთა ტურნირის პირველი კალენდარული დღე, რომელშიც რვა ქვეყნის ნაკრები მონაწილეობდა, გუნდების თავისებურ პრეზენტაციადაც შეიძლება ჩაითვალოს. მაყურებლებმა საკუთარი თვალით ნახეს ვინ რას წარმოადგენს და ვის რა შეუძლია.

საბჭოთა ნაკრების დღევანდელი მდგომარეობა ყველასთვის ცნობილია. იგი, ფაქტიურად, ახალ გუნდს წარმოადგენს, რომელსაც აკლია ვარსკვლავები და რა თქმა უნდა, გამოცდილება, მაგრამ მწვრთნელმა ვლადას გარასტასმა მიაღწია იმას, რომ გუნდი საკმაოდ საიმედოდ თამაშობს დაცვაში და, ამის გამო, ყველასათვის უხერხული მეტოქეა. 1988 წლის ოლიმპიურ ჩემპიონთაგან ნაკრებში მხოლოდ ვალერი ტიხონენკო დარჩა. მეორე ოლიმპიელი — ალექსანდრე ვოლკოვი კი, რომელიც ნბა-ს პროფესიულ ლიგაში გამოდის, მართალია ჩავიდა სიეტლში, მაგრამ ტრავმის გამო ასპარეზობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ერთი სიტყვით, „კოლიზეუმის“ დარბაზში საბჭოთა კალათბურთელების დებიუტს, ყველაფერთან ერთად, პრინციპული მნიშვნელობაც ჰქონდა. მით უმეტეს. რომ მისი მეტოქე იყო ევროპაში კარგად ცნობილი იტალიის გუნდი. მაგრამ როგორც გაირკვა, იტალიელებსაც არანაკლები სირთულეები ჰქონიათ, განსაკუთრებით შემადგენლობის გადახალისებასთან დაკავშირებით. ძველი გვარდიიდან „სკუადრა აძურაში“ დარჩა მხოლოდ ანტონელო რივა, რომელიც, ასაკის მიუხედავად, დღესაც საუკეთესო სნაიპერულ თვისებებს ამჟღავნებს. გასაკვირი არ არის, რომ საბჭოთა კავშირ—იტალიის მატჩში, ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი სწორედ რივა იყო, რომელმაც თავის კოლექტივს 34 ქულა შესძინა.

სასტარტო შეხვედრა საბჭოთა კალათბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 88:85 (46:34), — მხოლოდ სამი ქულით, რაც პირველ ყოვლისა ბრძოლის სიმძაფრეზე მიგვანიშნებს. გამარჯვებულ გუნდში ყველაზე შედეგიანი ვალერი ტიხონენკო იყო. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ნაკრების დებიუტანტმა დიმიტრი სუხარევმაც. იგი საკმაოდ აქტიური იყო თავდასხმის ცენტრში (გუნდს 22 ქულა შესძინა) და ეფექტურად თამაშობდა დაცვაში.

მატჩის დამთავრების შემდეგ იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელმა დუშან ივკოვიჩმა განაცხადა: „დღევანდელი ნაკრები საბჭოთა ოლიმპიურ გუნდს, პირველ ყოვლისა, იმით ჩამორჩება, რომ არ ჰყავს

დას. მე-4 გვ.

მედლები

	ო.	ვ.	ბ.
აშშ	25	27	17
სსრკ	19	22	17
გდრ	9	4	16
გფრ	2	3	2
ესპანეთი	2	1	1
პოლონეთი	2	—	—
დანია	2	—	—
კუბა	2	—	—
იტალია	1	2	1
ჰოლანდია	1	1	4
უნგრეთი	1	1	1
კანადა	1	—	2
ჩსფრ	1	—	—
სურინამი	1	—	—
მექსიკა	1	—	—
იამაიკა	1	—	—
ავსტრალია	—	2	1
რუმინეთი	—	1	1
ეთიოპია	—	1	—
კენია	—	1	—
ბრაზილია	—	—	1
ინგლისი	—	—	1
ირლანდია	—	—	1

გუშინ...

თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გუნდმა, თბილისის „მგლებმა“ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრაში უმასპინძლა თურქეთის ქალაქ რიზეს პროფესიულ საფეხბურთო კლუბს „რიზესპორს“. მატჩი დათქმულ დროზე გვიან დაიწყო, რის გამოც შედეგს ვერ გთავაზობთ.

წოდების მინიჭება

საბჭოთა კავშირის სპორტსახკომმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

თავისუფალ ჭიდაობაში — დიმიტრი კვირტიას (სოხუმი, „დინამო“).

აფროსნობაში — ოლეგ პარაფილოვს (თბილისი, „შევარდენი“).

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა ● კალათბურთი ● ფრენბურთი

ფინალის დროც მალე მოვა

დასრულდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ზონალური ტურნირები ფრენბურთსა და კალათბურთში, რომლებსაც თბილისი მასპინძლობდა.

ჩვენმა ჭაბუკმა **კალათბურთელებმა** კარგად აღებული სტარტი ასევე. კარგი ფინიშით დააგვირგვინეს და ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

ბოლო შეხვედრა მათ მოსკოვის გუნდთან გამართეს. მაყურებელი დაძაბულ ორთაბრძოლას მოელოდა, მაგრამ იმედები არ გაუმართლდათ, რამდენადაც მოსკოველებმა ვერაფერი გაუწყვეს ქართველ სპორტსმენებთან. 101:76 (40:30) — გაიმარჯვეს ჩვენმა კალათბურთელებმა. ამ დღესვე სომხეთის გუნდმა დაამარცხა მოლდავეთის ნაკრები — 66:63 (42:31), ხოლო ბოლო შეხვედრა აზერბაიჯანისა და მოლდავეთის გუნდებს შორის დამთავრდა აზერბაიჯანელთა გამარჯვებით — 91:74 (47:38).

ტურნირზე გამართული ოთხი შეხვედრიდან ქართველმა კალათბურთელებმა ყველა დამაჯერებლად მოიგეს. გუნდი დაკომპლექტებულია მიხეილ კეკელიძის სახელობის ოლიმპიური რეზერვის კალათბურთის 58-ე საშუალო ექსპერიმენტული სკოლის კალათბურთელებით, რომლებსაც დამატებული ჰყავთ ქუთაისელი ამირან ჯალაღონია (მწვრთნელები გივი ქილიტაური და მერაბ ცირეკიძე). მათი წარმატება ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენს მოზარდთა კალათბურთში, მაგრამ, ამასთან, მიღწეულით დაკმაყოფილება და თვითდამშვიდება ჯერ კიდევ ნაადრევია, რამდენადაც, წინ ფინალური თამაშებია, სადაც წარმატება ასე იოლად არ მოვა.

— „ტურნირით უკმაყოფილო ვარ, — გვითხრა გ. ქილიტაურმა — ჩვენს ზონაში სუსტმა გუნდებმა მოიყარეს თავი, ვერ შევძელით გვეჩვენებინა ჩვეული თამაში. ამასთან, გუნდი ჯერ კიდევ არ იმყოფება „პიკში“. ეს ერთი მხრივ, კარგიც არის, რადგან აგვისტოში, ფინალურ თამაშებზე უფრო გაგვიჭირდება. ვიმედოვნებთ, რომ ფინალისთვის დაგვემატება კიდევ ერთი კალათბურთელი — ვასილ გოგუა, რომელიც ავად იყო. გვაწუხებს სპორტული ფეხსაცმელების პრობლემა, ყველა გუნდი ჩვენზე უკეთესადაა შემოსილი“.

— „ორგანიზაციული თვალსაზრისით, ზონალურმა თამაშებმა მაღალ დონეზე ჩაიარა, — ამბობს შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი როლანდ ხომერიკი, — რაც შეეხება ჩვენი გუნდის თამაშს, მიუხედავად კარგი ასპარეზობისა, მასში მაინც იგრძნობა ხარვეზები, განსაკუთრებით დაცვაში თამაშისას. იმედია, დარჩენილ დროში ჭაბუკები გამოასწორებენ ნაკლოვანებებს. არ შეიძლება, რომ 15 წლის სპორტსმენებს ყველაფერი იდეალურად ჰქონდეთ.

დიდი დრო აღარ რჩება ფინალური ასპარეზობის დაწყებამდე და იმედია, არც ფინალურ შეხვედრაში გაგვაწბილებენ ჩვენი ნორჩი კალათბურთელები“.

საქართველოს ფრენბურთელ ჭაბუკთა ნაკრები გუნდი.

ანზორ კოჭლამაზაშვილის ფოტოები.

დასვენების დღის შემდეგ ჩვენი **ფრენბურთელი** ვაჟები უზბეკეთის კოლექტივს ხვდებოდნენ. გამარჯვების შემთხვევაში ქართველი ფრენბურთელები ვადამდე მოიპოვებდნენ ფინალში ასპარეზობის უფლებას, რომელიც 6 აგვისტოს გროდნოში დაიწყება. დასახული ამოცანა ჩვენმა სპორტსმენებმა პირველ პარტიაშივე გადაწყვიტეს, როდესაც მეტოქე დიდი უპირატესობით დაამარცხეს — 15:3. მეორე და მესამე პარტიებიც ჩვენი ფრენბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 15:8 და 15:7.

ჩვენი სპორტსმენების ბოლო შეხვედრას უკრაინელთა გუნდთან პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონია არც ერთი მხარისთვის, მაგრამ თამაშისადმი ინტერესი საკმაოდ დიდი იყო. უკრაინის ნაკრები საბჭოთა კავშირის პირველობის გამარჯვებულია და ამ ტურნირზეც საკმაოდ ძლიერად ასპარეზობდა.

პირველი პარტია ქართველ ფრენბურთელთა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ უკრაინელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და გაიმარჯვეს — 15:4. მეორე პარტიაში აშკარა უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, მაგრამ მაინც საქართველოს გუნდმა იმარჯვა — 17:15. ბოლოს კი უპირატესობა უკრაინელთა მხარეს იყო და საბოლოოდ მათ გაიმარჯვეს — 3:1 (15:4, 15:17, 15:5, 15:13).

უკრაინელთა მწვრთნელმა გიორგი პოდდენეჟნიმ აღნიშნა პროგრესი ჩვენი გუნდის თამაშში, გამოთქვა კმაყოფილება და მადლობაც გადაიხადა კარგი მასპინძლობისთვის: თბილისში ყოველთვის თბილად გვიღებენო.

დამარცხების მიუხედავად საქართველოს ნაკრები ფინალში იასპარეზებს. ჩვენი გუნდი მოამზადეს ალექსანდრე მუხინმა და გია ლომიშვილმა.

გია დუშელი

სტუდენტური სპორტი: ოსტატი და შეგირდი

პრობლემა

საით წავლენ „პატარა“ ჩემპიონები?

თუ არ გავითვალისწინებთ ორ საკმაოდ დიდ ასპარეზობას, კერძოდ, ჩეხოსლოვაკიის ქალაქ უსტინა ნად ლაბოში გამართულ ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატსა და პეტროზავოდსკის საკავშირო პირველობას სპორტსაჭკომის პრიზზე, ივლისი მოკრივეების საბრძოლო მოქმედებათა თეატრის რუკაზე საკმაოდ მშვიდობიანი ჩანს. ჩანსო, იმიტომ ვამბობთ, რომ ეს სიმშვიდე ნამდვილად მოჩვენებითია, თორემ ამ თვეში ჩვენში სპორტის სხვა სახეობებთან ერთად, კრივში ისეთი ვნებათა ღელვაა, მას ვერც ერთი „ცხელი წერტილი“ ვერ შეედრება. მიგვიხვდით ალბათ— უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხ სპორტსმენებზე მოგახსენებთ, რომელთაც არანაკლები ბრძოლის გადატანა მოუხდებათ აბიტურიენტთა კონკურსში და ახლა მთელი თავიანთი მონდომება და ძალები აქეთკენ აქვთ მიმართული. ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

მე კი უფრო შორეული პრობლემები მაღელვებს, კერძოდ ის, თუ როგორ წარიმართება მათი შემდგომი გზა სპორტში. ბევრის თვალში, ალბათ, გამოუსწორებელ პესიმისტად გამოვიყურები, რადგან, ამთავითვე ეჭვის ჭია გამჩენია. ისე, კაცმა რომ თქვას, აბა, რა უნდა დაუდგეს წინ მათს შემდგომ დაოსტატებას? ისინი ხომ, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, საკმაოდ გამოცდილი სპორტსმენები არიან. ბევრ მათგანს საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებშიც უსახელებია თავი და მაღალი კვალიფიკაციაც აქვთ, თვით სპორტის ოსტატის წოდების ჩათვლით. ამაში ადვილად დაგვეთანხმება ყველა, ვინც „ლელოს“ პუბლიკაციებს ადევნებს თვალს. კვირა არ გავა, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სხვადასხვა ასაკის ჭაბუკთა საკავშირო, და არა მარტო საკავშირო, ასპარეზობებში გამარჯვებულ საქართველოს წარმომადგენლებს არ ვაცნობდეთ მკითხველს. დღეისათვის ასეთი ჭაბუკი ასზე მეტი იქნება საქართველოში, ამიტომ, ბუნებრივია, იბადება კითხვა: საით მიდიან ჩემპიონები, ისინი, მზარდ მოკრივეებად რომ ითვლებოდნენ და მათზე დიდ იმედებსაც ვამყარებთ? ასეთები ბევრნი იყვნენ. ზოგიერთს დაგისახელებთ კიდეც: თბილისელები ხვიჩა სეთურიძე — სსრ კავშირის ჩემპიონი თანატოლებში; საკავშირო პირველობის ფინალისტები — ბესიკ გურჯია და მესტიელი გოჩა მუშკუდიანი; თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, ქუთაისელი დავით შერვაშიძე, მისი თანაქალაქელი მირზა ხურციძე და სხვა მრავალი. დღეს კი ეს სახელები თითქმის არაფერს ეუბნება კრივის მოყვარულებს.

დიდი რინგისთვის მათ დაკარგვას ბევრი გარდამავალ ასაკს აბრალებს. კერძოდ. როცა სიჭაბუკე მთავრდება, თან მიაქვს ის ჟინი და გატაცება, რაც ყრმობისთვისაა დამახასიათებელი. ბევრი კი, ალბათ, ისევ გარდამავალი ასაკის გამო, ვერც ახალ კოლექტივში გრძნობს თავს უწინდებური სილაღით, უფრო კი ამ დანაკარგების მიზეზი მწვრთნელის შეცვლაა. უმაღლესი სასწავლებლის ინტერესებისათვის სპორტსმენმა, რომელიც იქ ჩაირიცხება, უმეტეს შემთხვევაში, საზოგადოებაც უნდა გამოიცვალოს და მწვრთნელიც. მაგრამ ეს სათქმელად არის ადვილი, ჭაბუკისთვის კი უაღრესად მტკივნეული პროცესია. ასეთ შემთხვევაში დიდი გულისყური და პედაგოგიური ალღო მართებთ უმაღლესი სკოლის მწვრთნელ-მასწავლებლებს, რომელთაც მოზარდთა დავაჟკაცება მიენდობათ სპორტული თვალსაზრისითაც და საერთოდაც. მათ კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ მწვრთნელმა, ვისთანაც მომავალი სპორტსმენი სრულიად ბავშვი მივიდა სექციაში სამეცადინოდ, ხშირ შემთხვევაში მას მამობრივი მზრუნველობა გაუწია. ამდენად ჭაბუკი მთლიანად მინდობილი და გულახდილი იყო პირველ მწვრთნელთან. ახალ პირობებში მისი „აკლიმატიზაცია“ დანაკარგებთან იქნება დაკავშირებული, თუ მას ისევე ფაქიზად არ მოეპყარით და არ მიუდექით, როგორც მწვრთნელი ექცეოდა. ეს კი ადვილი საქმე არ გახლავთ, რადგან ყველაფერ ამას ემატება თვით ცხოვრებისეული გაზრდილი მოთხოვნილებანი. ამიტომ ნუ გაგვიკვირდება, თუ ზემოხსენებულ ჭაბუკ-პრიზიორთა ასეულიდან სულ მალე თითებზე ჩამოსათვლელი მოკრივეებიღა დაგვრჩება.



ასეთი დასკვნები თვით ჩვენი კრივის დღევანდელობის, კერძოდ, ამ გაზაფხულზე გამართული საუნივერსიადო ბრძოლების შედეგია. საერთოდ, ყოველი შეჯიბრება უმაღლესი სასწავლებლების მონაწილეობით თავისებური სარკეა სტუდენტური სპორტისა. სწორედ აქ ირკვევა, რომ აბიტურიენტ-სპორტსმენთაგან, გარკვეული შეღავათით რომ სარგებლობენ მისაღებ გამოცდებზე, ნახევარზე გაცილებით ნაკლები თუ შეიძლება შემორჩეს სარბიელს. ისეც ხდება, რომ შემდგომ უმეტესობა რინგზე აშკარად ვალის მოხდის მიზნით გამოდის და არც შეხვედრის შედეგი აღელვებს მაინცდამაინც — მისთვის სულ ერთია, ბრძოლას მოიგებს თუ წააგებს.

მაგალითისთვის ისევ უნივერსიადას მივმართავ. ბოლო შეჯიბრებაზე ველარ იცნობდით ქუთაისელ დავით შერვაშიძეს, რომელიც წონაშიც საკმაოდ მომატებული იყო. საერთოდ, იმ შერვაშიძისა, რომელმაც ორიოდე წლის წინათ ტრიუმფით განვლო თბილისის ჭაბუკთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი, ახლა აჩრდილიღა ვიხილეთ. დღეს, შეიძლება ითქვას, იგი დაკარგულია დიდი რინგისათვის. დასანანი კია, იგი ხომ ქუთაისის კრივის იმ სკოლის ტიპიური წარმომადგენელი იყო, ბრძოლის მეტად ორიგინალური მანერით რომ გამოირჩევა მთელს ქვეყანაში. სხვათა შორის, საუნივერსიადო რინგზე კიდევ ერთი უცნაურობა შეიმჩნევა: რატომღაც, გამარჯვებული გუნდის ათივე ან თორმეტივე მოკრივე ერთი მწვრთნელის მიერ არის მომზადებული. ასეთი რამ დღევანდელ კრივში ყოვლად შეუძლებელია, რადგან სპორტში, კერძოდ, კრივში, ისე გაიზარდა მოთხოვნები, რომ მთელი გუნდის მომზადებას ერთი კაცი ვერ შესწვდება. მაშ, რაღა საჭიროა, რომ ქვეყნის ნაკრებს, რომელსაც ჰყავს მთავარი მწვრთნელი, მაინც მწვრთნელთა მთელი კოჰორტა მიჰყვება? ისინი სწორედ ნაკრებში მოხვედრილ მოკრივეთა მწვრთნელები არიან და კარგად იციან თავიანთი შეგირდების ხასიათი, რაც განაპირობებს კიდეც გამარჯვებებს. ერთი კაცი საერთო გასაღებს ვერ მოარგებს ყველას..

დასასრულ, რამ განაპირობა ახალგაზრდა მოკრივეთა შემდგომი ბედით ასეთი დაინტერესება? პირველ ყოვლისა, იმან, რომ ჩვენს ვეტერან მოკრივეებს ღირსეული ცვლა უნდა ჰყავდეთ, და კიდევ, დროა შევქმნათ რეგულარული ნაკრები გუნდი კრივში, რომელიც წლის განმავლობაში რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავდა როგორც ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ან რესპუბლიკის, ისე საზღვარგარეთელ მეტოქეებთან. სხვათა შორის, ასეთი შეჯიბრებები ადრე ტარდებოდა. კრივის ძველ ქომაგებს ალბათ ახსოვთ, თუ როგორ აჟიოტაჟს იწვევდა შეხვედრები თბილისის ცირკში ესტონეთის, ლენინგრადის, მინსკის მოკრივეებთან, აგრეთვე საერთაშორისო ამხანაგური მატჩები ფინეთის, ირანისა და სხვა ქვეყნების გუნდებთან.

ამის აღდგენა, მით უფრო საშურია დღეს, როცა ქართული სპორტი დამოუკიდებლობისა და საერთაშორისო სარბიელზე გასვლისთვის იბრძვის.

უშანგ ჭიჭინაძე

◆ ◆ ◆

ბიჭი უნდა ფალავნობდეს!



ვაჟკაცი სიტყვას არ გატეხს

ჭიდაობის ნიჭი და სიყვარული ალეკო მამალაძეს პაპამისისგან გამოჰყვა — ლანჩხუთელი შოთა ჩხაიძე ერთ დროს განთქმული ფალავნის — არსენ მეკოკიშვილის ყველაზე უხერხულ მეტოქედ ითვლებოდა. შვილიშვილიც პაპის კვალს გაჰყვა; არც მშობლებს გამოუდიათ თავი — არიქა, ბიჭი მუსიკაზე და უცხო ენაზე უნდა ვატაროთო. მამამ ალეკოს ერთ საღამოს საჭიდაო ჩოხა მოუტანა, დილით კი ხელი მოჰკიდა და ახალგაზრდა მწვრთნელს გურამ ქუქიშვილს მიჰგვარა. ალეკო მაშინ 11 წლის იყო. რაკი ოცნება აისრულა, თავს როგორ შეირცხვენდა — თავდაუზოგავად ვარჯიშობდა და შედეგმაც არ დააყოვნა: ორ წელიწადში საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ბრინჯაოს მედალი მოიგო.

მალე იგი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში მიიწვიეს. საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ჯონი ლორიამ იკისრა ნიჭიერი ფალავნის დაკვალიანება. არც ახალი მასწავლებელი შეარცხვინა ახალგაზრდა მოჭიდავემ — 1984 წელს „ოლიმპიური იმედის“ საკავშირო ტურნირიდან გამარჯვებული დაბრუნდა. სხვათა შორის, ამ ტურნირის შედეგების მიხედვით უნდა დაკომპლექტებულიყო საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრები, რომელიც იმავე წელს დიდ საერთაშორისო ტურნირზე უნდა გამოსულიყო, მაგრამ 75 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ ალეკო მამალაძის ნაცვლად მწვრთნელებმა სხვა აირჩიეს. ალეკოს გული არ გაუტეხია, უფრო მეტი მონდომებით დაიწყო ვარჯიში და დაამტკიცა, რომ თანატოლებში ბადალი არ ჰყავდა — მომდევნო წლებში, ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ამიერ სიის ჩემპიონობა, 1986 წელს საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ჩემპიონატში გაიმარჯვა და 17 წლისას სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.

ეს საუკეთესო წლები იყო ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში, — იგონებს ალეკო, — საჭიდაო ლეიბს იქით თუ სხვა სამყარო არსებობდა, არ მეგონა. პირველად სწორედ ამ პერიოდში შევამჩნიე, რომ მონაცვლეობით, ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ფერდთან რაღაც წამომტკივდებოდა ხოლმე, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. 1987 წელს, თურმე მძიმედ დაავადებულმა, ლევან თედიაშვილის პრიზის პირველ საკავშირო ტურნირში გავიმარჯვე.

ალეკო მამალაძეს ერთი თავისებური რეკორდიც ეკუთვნის: 1985 წელს, თბილისის მოსწავლეთა ჩემპიონატის წინ, მარცხენა ხელი ისე დაუზიანდა, ხმარება საერთოდ არ შეეძლო, მაგრამ მაინც გავიდა სარბიელზე. „ცალხელა“ ფალავანმა 3 მეტოქე დაამარცხა და თავის მდიდარ კოლექციას თბილისის ჩემპიონის ოქროს მედალიც შემატა.

— ვიდრე ჯარში გამიწვევდნენ — განაგრძობს ალეკო, — გავიმარჯვე საქართველოს პირველობებში, საკავშირო და ამიერკავკასიის ტურნირებში, III ადგილი დავიკავე „მეგობრობა-86“-ის ტურნირზე. შემდეგ ჯარში წავედი, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვმსახურობდი; იქაც ვჭიდაობდი; 1988 წელს პირველი ადგილი დავიკავე შეიარაღებულ ძალთა საერთაშორისო ტურნირში, ჩემი წარმატების ამბავი გაუგებარი არ დარჩათ ჩემს თანამემამულეებს. ლევან თედიაშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გერმანიიდან რუსეთში გადმოვეყვანე, იქ მემსახურა და თან საკავშირო ნაკრებთან ერთად მევარჯიშა. მოსკოვში უნდა გადმოვფრენილიყავი და ნაკრებთან ერთად მონღოლეთში მეასპარეზა საერთაშორისო შეჯიბრებაზე, ვარჯიშიც დავიწყე ინდივიდუალური გეგმით, მოკლედ, ერთი დღეღა დამრჩა გერმანიიდან წამოსვლამდე, მაგრამ...

გამგზავრების წინა საღამოს ალეკოს არაადამიანურმა ტკივილმა გაუკავა წელი, ვერ მოძრაობდა, ნაბიჯსაც კი ვერ დგამდა... შემდეგ? შემდეგ რაც იყო, იმის გახსენებაც კი ზარავს ალეკოს...

იყო ურთულესი ოპერაცია, ერთთვიანი ბრძოლა სიკვდილ-სიცოცხლისა და ალეკო საბედისწერო დიაგნოზით გამოწერეს საველე ჰოსპიტლიდან.

ალეკოსათვის ვარჯიში აღარ შეიძლებოდა, სამხედრო-სამედიცინო კომისიამ II ჯგუფის ინვალიდობა დაუდასტურა. თბილისში ჩამოსვლისთანავე მწვრთნელად დაიწყო მუშაობა, ნორჩებს გადასცემდა თავის გამოცდილებას, აპირებდა კიდეც, ბოლომდე გაჰყოლოდა სამწვრთნელო კარიერას, მაგრამ ერთმა შემთხვევამ აალებინა ხელი განზრახვაზე...

„ერთ დღეს „ლელოში“ წავიკითხე, სრულიად საქართველოს ინვალიდთა ასოციაცია თავის სპორტული ფედერაციის ჩამოყალიბებას აპირებსო, იმდღესვე ასოციაციის მისამართი მოვიძიე, ვეწვიე საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელობას და მათთან ერთად ჩავები მუშაობაში. ამჟამად ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი ვარ და, რაც მთავარია, ისევ ვჭიდაობ“... წელს. თბილისის პირველობაზე (ჯანმრთელთა შორის!) ა. მამალაძე, მისივე დაჟინებული მოთხოვნით, ორგანიზატორებმა გამონაკლისის წესით დაუშვეს ასპარეზობაზე. ალეკო ექვსჯერ გამოვიდა სარბიელზე, ერთხელ დამარცხდა, შემდეგ, ზედიზედ 5 სუფთა გამარჯვება მოიპოვა (!) და საბოლოოდ, III ადგილზე გავიდა. აპრილში ინვალიდთა შორის გამართულ საქართველოს ჩემპიონატში მკლავჭიდში ალეკო მეორე იყო, დამარცხდა აბსოლუტურ ჩემპიონ ოთარ მჭედლიძესთან, რომელიც მასზე მთელი 50 კილოგრამით მეტს იწონიდა. ამით ვაპირებდი ამ წერილის დამთავრებას, მაგრამ რატომღაც ალეკო მამალაძის მონათხრობი გამახსენდა: ჯარში წასვლამდე შეყვარებულს შევპირდი, აუცილებლად მსოფლიო ჩემპიონი გავხდები და ჩემპიონის ოქროს მედალს შენ მოგიძღვნი-მეთქი. რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის, სანამ ჯანმრთელი ვიყავი ვერ მოვასწარი. ახლა გავიგე, ინვალიდთა შორის მსოფლიო ჩემპიონატები ეწყობა, თუ ბიჭი ვარ, არ გავტეხ სიტყვას, ახლა მაინც გავხდები ჩემპიონი!

არ ვიცით, დაიჯერებთ თუ არა მის სიტყვებს, მაგრამ ვინც მას იცნობს, ეჭვი არ შეეპარება — ალეკო უთუოდ შეუსრულებს გულისწორს დანაპირებს.

ლევან ჯავახიშვილი.

• • •

სურათზე: ა. მამალაძე.
ა. კოპლამაზაშვილის ფოტო.

მეორე ადგილიც წარმატებაა

წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს გორის მე-7 საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. ზექალაშვილი) ფრენბურთელ გოგონათა გამოსვლის შედეგი გროდნოში გამართულ „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. ჩვენმა გოგონებმა ერთნაირი ანგარიშით — 3:0 — დაამარცხეს ყაზახეთის და თურქმენეთის გუნდები, აჯობეს ლენინგრადისა და ბელორუსიის ძლიერ კოლექტივებს და მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმეს ლიტვის გუნდთან. საბოლოოდ, გორელმა გოგონებმა სატურნირო ცხრილის მეორე საფეხური დაიკავეს.

ამ ტურნირისთვის გუნდი მოამზადა ელდარ კაპანაძემ. იმედი უნდა ვიქონიოთ, ეს შედეგი მისი აღსაზრდელების — მაია ჯეირანაშვილის, მარიკა ამბროსაშვილის, მარინა სენინას, მაკა ფალავანდიშვილისა და მათი თანაგუნდელებისათვის სამომავლო წარმატებების საწინდარი იქნება.

ნანა ბოგოლაშვილი

* * *

სურათზე: ქ. გორის მე-7 საშუალო სკოლის ფრენბურთელ გოგონათა გუნდი (შუაში — მწვრთნელი ელდარ კაპანაძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი სამბოში

● ტურნირის ექო

„მშობლიური" ილეთით...

ქართული ჭიდაობა რომ ჩვენი მოჭიდავეების „ხერხემალია", ეს უცხოელმა სპეციალისტებმაც არაერთგზის აღნიშნეს. მისი წყალობით არის, რომ ჩვენმა ფალავნებმა ადვილად გაითავისეს ჭიდაობის სხვა სახეობები.

საქართველოს ფალავნები სამბოშიც აღწევდნენ და აღწევენ წარმატებებს, როგორც საკავშირო, ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებში, მაგრამ ახლა მიღწეულით დაკმაყოფილებას არავინ აპირებს. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ღვთის წყალობით, ქართველ კაცს ჭიდაობა ყოველთვის შეეძლო, და მისი ნიჭი ჭიდაობის არაერთ სახეობას გასწვდება.

როგორც ვიუწყებოდით, ახლახან კალინინმა უმასპინძლა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს სამბოში სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის, სადაც ჩვენი რესპუბლიკიდან 15 სპორტსმენი ასპარეზობდა. შედეგებიც ცნობილია ჩვენი მკითხველისათვის; ერთი „ოქრო" და ერთიც „ბრინჯაო".

როგორც ამ ჭიდაობის ფუძემდებლები, რუსეთის ფედერაციის გუნდები ყოველთვის ძლიერი მოჭიდავეებით ასპარეზობენ საკავშირო პირველობებზე. ამჯერადაც, მალხაზ ბერუაშვილს (მწვრთნელები: სპარტაკ ჯინორიძე და გმირო ხაჩიძე), რომელიც „პრესტიჟულ" — მძიმე წონაში ასპარეზობდა, მეტოქეებად თავიდანვე ძლიერი მოჭიდავეები არგუნა წილისყრამ. ეგაა რომ, პირველივე წრეში ქარელელ ფალავანს საგარეჯოელ კობა კუპატაძესთან მოუხდა ასპარეზობა და სუფთა გამარჯვებაც მოიპოვა. მალხაზმა ისე განვლო დანარჩენი ორთაბრძოლები ფინალამდე, რომ ე. წ. ტექნიკური ქულაც არ დაუკარგავს. ფინალში კი შეხვდა წლევანდელ მსოფლიო თასის მფლობელს და 1987 წლის ევროპის ჩემპიონს ვ. ემელიანოვს (ბელორუსია). მ. ბერუაშვილმა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა და გარე სარმით ორი ქულა აართვა მეტოქეს. ამ გამარჯვებით მალხაზ ბერუაშვილმა მოიპოვა უფლება იასპარეზოს მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც 5-9 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება.

გია ნაცვლიშვილისთვის (დუშეთი, მწვრთნელები ნუგზარ ხუციშვილი და გაიოზ ყაყიჩაშვილი) III ადგილი პირველი დიდი მიღწევაა საკავშირო ჩემპიონატზე. მან კარგად დაიწყო ასპარეზობა, მაგრამ ფინალში გასასვლელ შეხვედრაში დამარცხდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ი. იაპრიცევთან (ბელორუსია), და საბოლოოდ, მე-3 ადგილს დასჯერდა.

62 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა გასული წლის მსოფლიო პირველობის მეორე პრიზიორი, ფოთელი მურთაზ თურქია. ამ წონაში 38 მოჭიდავემ მოიყარა თავი. ამასთან, მ. თურქია პირველად ასპარეზობდა უფროსებში და მისთვის მე-5 ადგილი, მწვრთნელთა აზრით, ურიგო შედეგი არ არის.

82 კგ წონაში ორი ქართველი ათლეტი გამოდიოდა: გურამ ქარჩაიძე და ჯემალ გუდიევი, რომლებმაც შესაბამისად VI და V ადგილები დაიკავეს.

74 კგ წონაში ასპარეზობდა ახალგაზრდა მოჭიდავე არჩილ ბიძინაშვილი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, არ გააწბილა მწვრთნელები და ოთხ შეხვედრაში გამარჯვებული გამოვიდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხანგრძლივი (ტრავმის გამო) შესვენების შემდეგ კვლავ უბრუნდება სპორტს მალხაზის ძმა — გელა ბერუაშვილი. იმედია მასაც მალე ვიხილავთ სხვადასხვა ასპარეზობებში...

როგორ შეიძლება შევაფასოთ ჩვენი მოჭიდავეების გამოსვლა საკავშირო პირველობაზე? სიტყვას გადავცემთ საქართველოს ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელს სპარტაკ ჯინორიძეს.

— „დაგეგმილი" ოთხი მედლიდან ორი მოვიპოვეთ, რაც, რომ იტყვიან, კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული. ჯემალ მჭედლიშვილი და მამუკა წინამძღვრიშვილი, რომლებიც მედლების პრეტენდენტები იყვნენ, ტრავმის გამო არ მონაწილეობდნენ ჩემპიონატში. მართალია, მჭედლიშვილმა პირველი შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ მკლავი იტკინა და მოვხსენით შეჯიბრებიდან, რაც, ცხადია, დიდი დანაკლისი იყო ჩვენთვის.

ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია, ამასთან, წინა წლებთან შედარებით წინსვლაც იგრძნობა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბევრ ახალგაზრდა მოჭიდავეს გამოცდილება აკლია; თუმცა რეზერვი კარგი გვყავს, რაც იმედს გვაძლევს, რომ მომავლისთვის გვეყოლება ის გუნდი, რომელიც მხოლოდ საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს. ამჯერად კი გუნდურ პირველობაში მეექვსე ადგილს დავჯერდით.

გია ბურდული

ვინ როგორ ფიქრობს

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში გაზეთმა „დოიჩეს შპორტეხო" ტურნირის მონაწილეებსა და ოფიციალურ წარმომადგენლებს ინტერვიუ ჩამოართვა. ვბეჭდავთ ამ საუბრების შინაარს მცირე შემოკლებით.

● **ჟოაო აველანჟი (ბრაზილია, ფიფა-ს პრეზიდენტი):**

— ყოველ პრეს-კონფერენციას თქვენ ორგანიზატორთა ქებით იწყებთ. რა უფრო მეტია თქვენს სიტყვებში — გულწრფელობა თუ დიპლომატია.

— მე სიამოვნებით ვლაპარაკობ ამ ჩემპიონატზე იმიტომ, რომ მართლაც აღფრთოვანებული ვარ. იტალიამ მთელ მსოფლიოს აჩვენა თავისი კეთილსინდისიერი მუშაობის ნაყოფი.

— დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ ოლიმპიური სისტემა სწორია და სამართლიანი?

— ეს სისტემა ბევრს არ მოსწონს, მაგრამ სანაცვლოდ ვერავინ ვერაფერს გვთავაზობს, ამიტომ გულდაწყვეტილ გუნდებს მოვუწოდებ უფრო გაბედულად ითამაშონ შეტევაში.

— როგორც ირკვევა, მესამე სამყარო საფეხბურთო ელიტას სერიოზულად ავიწროვებს. ხომ არ მოხდება მომავალში სტრუქტურული გარდაქმნები მათ სასარგებლოდ?

— მოვლენათა განვითარებას კარგა ხანია თვალს ვადევნებ. როგორც ჩანს მომავალი ჩემპიონატის ფინალში აფრიკას ორის ნაცვლად სამი ადგილი უნდა დავუთმოთ. ევროპას ამის გამო „შევიწროება" მოუხდება.

— პრესაში ხშირად აკრიტიკებენ მსაჯებს. იზიარებთ თუ არა ამ კრიტიკას?

— ჩემპიონატს 36 არბიტრი ემსახურება, ჟურნალისტები კი უხარისხო მსაჯობის მხოლოდ ორ-სამ შემთხვევას იხსენებენ. შვედი ფრედერიკსენი და იტალიელი ანიოლი ჩვენ დავსაჯეთ, თუმცა ისინი არ არიან ცუდი არბიტრები.

— შეიძლება თუ არა „ვიდეო" ფეხბურთში მოწმედ გამოგვადგეს?

— ტელევიზიის ჩარევა მსაჯობაში, ჩემი აზრით, ფეხბურთის დასასრულს დააჩქარებს. ამიტომ უმჯობესია ვიფიქროთ მსაჯთა კორპუსის გაახალგაზრდავებაზე.

— ეფექტური დრო ყოველ მატჩში 60 წუთს არ აღემატება. კარგია ეს თუ ცუდი?

— მართალი ხართ. ბევრი დრო ფუჭად იკარგება. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ არბიტრს უფლება აქვს ყოველი შეხვედრის ხანგრძლივობა 100 წუთამდე გაზარდოს.

— 1994 წელს თქვენ პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის 20 წელი შეგისრულდებათ, რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

— გულახდილად უნდა გითხრათ, ამაზე არაფერი მიფიქრია.

● **სალვატორე სკილაჩი (იტალიის ნაკრების წევრი):**

— რას ფიქრობდით თქვენს საფეხბურთო კარიერაზე ერთი წლის წინ?

— ერთი წლის წინ სიცილიის „მესინაში" ვთამაშობდი და იქაური პრობლემებით ვიყავი დაკავებული. ნაკრებში თამაშზე არასოდეს მიფიქრია.

— 1982 წელს იტალია ჩემპიონი გახდა, ოთხი წლის მერე კი უარესად გამოვიდა. საინტერესოა რას განიცდიდით მაშინ?

— ჩემპიონობის წელს ახალგაზრდა ვიყავი, ამიტომ სხვებთან ერთად ხმის ჩახლეჩამდე გავკიოდი: „ფორცა იტალია"! (წინ იტალია!). 1986 წლის წარუმატებლობა კი როგორც მოქმედმა ფეხბურთელმა, მშვიდად გადავიტანე.

— თქვენ ბაჯოს გვერდით არასდროს გითამაშიათ. როგორ შეეთვისეთ მას?

— ჩვენ ალბათ ვავსებთ ერთმანეთს. ეს შეამჩნია ვიჩინიმ და ერთ წყვილში დაგვაყენა.

● **იან კოციანი (ჩეხოსლოვაკიის ნაკრების წევრი):**

— შესარჩევ ტურნირში თქვენი გუნდი არაფრით გამოირჩეოდა, იტალიაში კი მშვენივრად ითამაშეთ. რა მოხდა ამ შედარებით მოკლე დროში?

— ბევრი რამ დაემთხვა ერთმანეთს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეხეთ-სლოვაკეთში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებსაც. ფეხბურთელები გახდნენ უფრო თავისუფალი, უფრო ყურადღებიანი და, რაც მთავარია, ბედნიერნი. ამან ყველაფერმა ჩვენზე დადებითად იმოქმედა.



● **კარლოს ვალდერამა (კოლუმბიის ნაკრების წევრი):**

— თქვენი გუნდი ჩემპიონატის მერვედფინალში პირველად გავიდა. რას იტყვით ამის თაობაზე?

— ვამაყობთ, მაგრამ, უნდა გითხრათ, ეს წარმატება არ იყო მოულოდნელი, კოლუმბიის ნაკრები ხელებდაკაპიწებული მუშაობდა ოთხი წლის განმავლობაში. დარწმუნებული ვარ, ჩემპიონატის ანალიზი კიდევ ერთი საფეხურით წაგვწევს წინ.

● **ბობი ჩარლტონი (ინგლისი):**

— თქვენ ხშირად გაჩვენებენ ტელეკრანებზე?

— დიახ, ვარ ბი-ბი-სის საფეხბურთო მიმომხილველი.

— მოგწონთ თუ არა ინგლისის წლევანდელი ნაკრები?

— ჩვენი გუნდი წლეულს უფრო ძლიერია, ვიდრე ორი წლის წინ ევროპის ჩემპიონატზე.

— თქვენი, ყველაზე უსიამოვნო შთაბეჭდილება?

— საბჭოთა ნაკრების თამაში, ლობანოვსკი და მისი თანაშემწეები, ვფიქრობ, დროს ჩამორჩნენ. ასეთი ძველმოდური ფეხბურთით მსოფლიო ჩემპიონატში ვერაფერს მიაღწევ.

— რა მოგეწონათ იტალიაში ყველაზე მეტად?

— კამერუნისა და ეგვიპტის ფეხბურთელთა თამაში.

— რა აზრისა ხართ მსაჯობაზე?

— ისინი ადამიანები არიან და ზოგჯერ, რა თქმა უნდა, ცდებიან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატებში და მსგავს ტურნირებში ყველაზე მძიმე სამუშაო არბიტრებსა აქვთ.

● **პაულ ბრაიტნერი (გფრ):**

— რა გზით განვითარდება, თქვენი აზრით, ფეხბურთი?

— სისწრაფე, ფიზიკური კონდიციების შემდგომი სრულყოფა, ძალისმიერი ბრძოლა და დაცვა. აი, ოთხი ძირითადი პრინციპი, რომელიც დაედება საფუძვლად მომავლის ფეხბურთს.

— რამ გაგაოცათ ყველაზე მეტად?

— კამერუნელთა ბრწყინვალე და საბჭოთა ნაკრების უსუსურმა თამაშმა.

— რას იტყვით „ვარსკვლავებზე"?

— ფეხბურთში ისინი აღარ ბრწყინავენ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, უსათუოდ გამოჩნდებიან.

— ამ ჩემპიონატის ყველაზე დიდი უსამართლობა?

— ბრაზილიელთა მარცხი მერვედფინალში.

პელე ცოლს ირთავს



გადაწყდა, რომ ფეხბურთის მეფედ" აღიარებულ ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუს — ანუ, უბრალოდ, პელეს — დაბადების 50 წლისთავს საზეიმოდ აღნიშნავენ მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს ლონდონის სახელგანთქმულ სტადიონ „უემბლიზე". როგორც იუბილარმა განაცხადა, იგი ამ დღეს (განსხვავებით მისი სხვა საიუბილეო მატჩებისა) ითამაშებს მთელ 90 წუთს, რისთვისაც უკვე ინტენსიურ ვარჯიშს შეუდგა. პელე ყოველდღიურად ორ-ორ საათს ატარებს ბურთთან, ბევრს დარბის.

როგორც ცნობილი გახდა, „უემბლის" საზეიმო ფოიერვერკს სულ მალე მოჰყვება კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა „შავი მარგალიტის" ცხოვრებაში — იგი ცოლად ირთავს „მის ბრაზილია — 89-ს", 20 წლის ფლავია კავალკანტის. სხვათა შორის, წელს ფინანსური გართულებების გამო, ბრაზილიაში არ გამართულა სილამაზის კონკურსი, ასე რომ, ფლავია კიდევ ერთ წელიწადს რჩება სილამაზის დედოფლის ტახტზე.

— ფლავიამ დამატყვევა თავისი უმწიკვლობითა და სიმართლით, მისთვის საჭიროა ადამიანი ცხოვრებისეული გამოცდილებით — ამბობს პელე.

მანამდე კი ფეხბურთის ჯადოქარი განაგრძობს მზადებას ამ საინტერესო მატჩისათვის. მისი გუნდის ხელმძღვანელად მოწვეულია ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი სებასტიან ლაზარონი.

ჟურნალისტთა დაჟინებულ შეკითხვებზე, უარს ხომ არ იტყვის პელე ქვეყნის პრეზიდენტად თავისი კანდიდატურის წამოყენებაზე, მან განაცხადა: აი, ჯერ ცოლს შევირთავ, მერე კი სერიოზულად ვიფიქრებ ამ საკითხზე. მთელი ცხოვრება წინაა!

სსრ კავშირის თასზე

გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო შეხვედრები.

დონეცკის „შახტიორმა" საკუთარ მინდორზე მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლო ცელინოგრადის „ცელინიკის" დამარცხება — 2:1 (პირველი შეხვედრა — 1:1), ხოლო ვოლგოგრადის „როტორისა" და უფის „გასტელოს" შეხვედრაში გამარჯვება ასევე მინიმალური სხვაობით დარჩა უმაღლესი ლიგის გუნდს — 1:0 (პირველი მატჩი 1:3).

მინსკის დინამოელებმა პავლოდარის „ტრაქტორს" მოუგეს ანგარიშით 4:0 (3:0). ოდესის „ჩერნომორეცისა" და პიატიგორსკის „მაშუკის" შეხვედრა დამთავრდა ოდესელთა გამარჯვებით — 3:0 (2:0).

მერვედფინალში გავიდნენ „შახტიორი", „გასტელო"", მინსკის „დინამო და „ჩერნომორეცი".

თასის გათამაშების ამ ეტაპის პირველი მატჩი კამიშინის „ტექსტილშჩიკსა" და კიევის „დინამოს" შორის დამთავრდა ფრედ — 0:0. ამ გუნდების საპასუხო შეხვედრა გაიმართება 3 აგვისტოს.

ერევნის „არარატისა" და როსტოვის არმიელთა გუნდის მეორე შეხვედრა გადატანილია და გაიმართება მოგვიანებით.

გარდაიცვალა

ედუარდ სტრელცოვი

სამიოდე დღის წინ, რუბრიკაში „რა არ ხდება...", ვწერდით ედუარდ სტრელცოვის შესახებ. შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ სახელგანთქმული ფეხბურთელი, მოსკოვის „ტორპედოსა" და ქვეყნის ნაკრების ყოფილი ცენტრალური თავდამსხმელი, ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ედუარდ სტრელცოვი მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 53 წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილი ნების თამაშები

ახალი გუნდი, ახალი პრობლემები

(დასასრული)

არვიდას საბონისის კლასის მოთამაშე“. ვლადას გარასტასი კი უფრო სიტყვაძუნწი იყო: „ამ შემადგენლობით, — თქვა მან, — აშკარად კარგ შედეგს მივაღწიეთ“.

პუერტო-რიკოს კალათბურთელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს ტურნირის მასპინძლებს და ბრძოლა საპატიო ანგარიშით დათმეს — 94:100 (51:52). ეს იყო ტიპიური ამერიკული სტილის მატჩი: სწრაფი, ტემპიანი თამაში შეტევაში და უაღრესად მჭიდრო, უხეში ბრძოლა დაცვაში. ამ გუნდების შეხვედრა იშვიათად მთავრდება უკონფლიქტოდ. ასე იყო ამჯერადაც, როცა შუა თამაშში კოლექტიური მუშტი-კრივი ატყდა. მსაჯებმა გუნდებიდან თითო მოთამაშე გააძევეს მატჩის ბოლომდე და მოჩხუბრებიც ამით „დაამშვიდეს“.

სასტარტო შეხვედრით ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა ბრაზილიის გუნდმა. მან წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა ესპანეთის საკმაოდ ძლიერ და გამოცდილ ნაკრებს — 114:89 (59:44). გამარჯვებულთა შორის საუკეთესო იყო ბოლო დროს ევროპაში მოთამაშე ოსკარ შმიდტი (33 ქულა).

მსოფლიოს ექსჩემპიონმა — იუგოსლავიამ შედარებით იოლად აჯობა ავსტრალიელ კალათბურთელებს — 93:77 (50:37).

ტურნირის ფორმულა ასეთია: ჯერ ჯგუფური ტურნირები, მერე ორ-ორი გამარჯვებული 27 ივლისს ნახევარფინალურ შეხვედრებს გამართავს ფინალი და მატჩი მესამე ადგილისთვის კი 29 ივლისს შედგება. პირველ ჯგუფში გამოდიან: ავსტრია, ბრაზილია, ესპანეთი და იუგოსლავია, მეორეში — იტალია, პუერტო-რიკო, აშშ და საბჭოთა კავშირი.

ფრენბურთელ ქალთა ტურნირი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საფინიშო სწორზე გავიდა. საბჭოთა ნაკრებმა ჯგუფური შეჯიბრების ბოლო მატჩში ადვილად აჯობა კანადას (3:0) და ფინალისტთა ოთხეულში ერთ-ერთი ადგილი დაიბევა. ამ ჯგუფიდან ნახევარფინალის მეორე საგზური ბრაზილიელებს ხვდათ, რომლებსაც აშშ-სთან შეხვედრაში ერთი პარტია მაინც უნდა მოეგოთ. პროგრამა მინიმუმი სამხრეთამერიკელმა სპორტსმენებმა პირველსავე პარტიაში შეასრულეს, ბრძოლა კი დათმეს ანგარიშით — 1:3. კვარტეტის მეორე წყვილი ჩინეთისა და პერუს ფრენბურთელებმა შეადგინეს.

მოცურავეთა ასპარეზობაში სხვებზე უკეთ თამაშების მასპინძლები გამოდიან, თუმცა ოქროს მედლებს სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც იმსახურებენ. ასე მაგალითად, პოლონელმა არტურ ვოიდატმა სიეტლში უკვე მეორე უმაღლესი ჯილდო მოიპოვა. ამჯერად იგი უძლიერესი იყო თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურვაში. ამ დღეს უმაღლესი ჯილდოები დაიმსახურეს მოსკოველმა ალექსი მატვეევმა (100 მ. ბრასი), ესპანელმა მარტინ სუბერომ (200 მ. გულაღმა), ამერიკელებმა ჯანეტ ევანსმა (1500 მ თავისუფალი სტილით) და სამერ სენდერსმა (200 მ. კომპლექსური). აშშ-ს გუნდი პირველი იყო კომბინირებულ ესტაფეტაშიც (4X100 მ.).

მძლეოსანთა პროგრამის ყურადღების ცენტრში იყო სპრინტერვაჟთა შეჯიბრება. აქ სპეციალისტები ორ მთავარ ფავორიტს ასახელებდნენ: ექვსგზის ოლიმპიურ ჩემპიონს კარლ ლუისს და მის ახალგაზრდა კოლეგას ლეროი ბარელს (ორივე — აშშ). თანაც ლუისის შანსები, ცხადია, უფრო მეტად ფასობდა (შეფარდება — 5:0), თუმცა ჩემპიონმა, ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყებამდე განაცხადა: ლეროიმ უკვე მიაღწია სპორტული ფორმის პიკს, მე კი მისგან ჯერ შორსა ვარო. ყველაზე სწორი ექსპერტი, ამ შემთხვევაში, ლუისი გამოდგა. სპრინტერთა დუელი მართლაც ლეროი ბარელმა მოიგო — 10,05, ოლიმპიურ ჩემპიონს კი მხოლოდ მეორე შედეგი აღმოაჩნდა — 10,08. სხვათა შორის, ამ სახეობაში მესამე ადგილზეც ამერიკელი სპრინტერი, არტურ ბლეიკი გავიდა (10,17).

TO
GO
134
CHAIR FI
ALEXAND
JUAN
JAN
LEWIS CARL
LARGEON AL
ETTE CARL
EDY DOUG
CRAIG

რ. გატაულინი



„ავტოგრაფები“ ტაბლოზე

28 ივლისი

მძლეოსნობა. ვაჟები. ბადროს ტყორცნა. 1. რომას უბარტასი (სსრკ) — 67,14; 110 მ თარჯრბენი. 1. როჯერ კინგდომი (აშშ) — 13,47; 100 მ 1. ლეროი ბარელი (აშშ) — 10,05; 1500 მ 1. ჯო ფოლკონი (აშშ) — 3.39,97.

ქალები. 100 მ თარჯრბენი. 1. ნატალია გრიგორიევა (სსრკ) — 12,70; 800 მ 1. ანა კიროტი (კუბა) — 1.57, 42; 3000 მ 1. პეტსიუ პლამერი (აშშ) — 8.51,59; სიმაღლეზე ხტომა. 1. ელენა ელესინა (სსრკ) — 202; შვიდჭიდი. 1. ჯეკი ჯოინერ-კერსი (აშშ) — 6.783 ქ.

ცურვა. ვაჟები. 400 მ თავისუფალი სტილით. 1. არტურ ვოიდატი (პოლონეთი) — 3.48,61; 100 მ ბრასით. 1. ალექსეი მატვეევი (სსრკ) — 1.02,34; 200 მ ზურგზე. 1. მარტინ სუბერო (ესპანეთი)— 1.59,50.

ქალები. 1500 მ თავისუფალი სტილით. 1. ჯანეტ ევანსი (აშშ)— 15.54,23; 200 მ კომპლექსური. 1. სამერ სენდერსი (აშშ) — 2.14,06; 4X100 მ კომბინირებული ესტაფეტა. 1. აშშ-1 (ბეტსი მიჩელი, ტრეისი მაკფარლეინი, ჯენელ იორგენსონი, ნიკოლ ჰეისლეტი) — 4.06,94.

ხელბურთი. ვაჟები. სსრკ — იაპონია 37:19; ჩსფრ — აშშ 20:20; ესპანეთი — ისლანდია 20:19; იუგოსლავია — ს. კორეა 26:21.

ფრენბურთი. ქალები. აშშ — ბრაზილია 3:1, სსრკ — კანადა 3:0; ჩინეთი — იაპონია 3:0, პერუ — კუბა 3:0.

კალათბურთი. ვაჟები. აშშ — პუერტო-რიკო 100:94; იუგოსლავია — ავსტრალია 93:77; სსრკ — იტალია 88:85; ბრაზილია — ესპანეთი 114:89.

საქდეს-საქინფორმის ფოტოები.

„პროფესორის გაკვეთილი“

„ფორმულა-1“

ინგლისში, „სილვერსტოუნის“ ტრასაზე გაიმართა მსოფლიოს 41-ე ჩემპიონატის მე-8 ეტაპი „ფორმულა—1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში. გათამაშდა ინგლისის „გრან პრი“ და ამით დასრულდა ასპარეზობის პირველი ნახევარი.

საკვალიფიკაციო რბოლები წინა ეტაპის „სცენარით“ წარიმართა. კვლავ იმარჯვა ნაიჯელ მენსელმა. მან თავისი მე-14 და „ფერარის“ 110-ე საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო. მეორე იყო აირტონ სენა, მესამე — გერჰარდ ბერგერი.

სტარტიდან დაწინაურდა სენა. ცოტა ხანში მენსელი „მაკლარენის“ ორ პილოტს შორის მოექცა. ასე გაიარეს მათ 10 წრე, მაგრამ ბრაზილიელი მრბოლის ლიდერობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთ-ერთ მოსახვევში შესვლისას მან ბარიერს გამოსდო მარცხენა წინა თვალი, „მაკლარენი“ მოსრიალდა და ტრასის მიღმა აღმოჩნდა. აირტონ სენა ბოქსისკენ გაემართა. დაწინაურდა ნაიჯელ მენსელი, მაგრამ ახლა მას მოუხდა გერჰარდ ბერგერის იერიშების მოგერიება. ამ დროს ალენ პროსტი ნელ-ნელა, აუღელვებლად მიიწევდა წინ. 31-ე წრეზე ფრანგმა პილოტმა გაუსწრო ბერგერს და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ავტომობილების გრძელი რიგის სათავეში ორი „ფერარი“ მოექცა. მანძილი მენსელსა და პროსტს შორის სულ უფრო მცირდებოდა და ბოლოს მოხდა ის, რასაც ყველა ელოდა. ინგლისელი პილოტის წინ ერთი წრით ჩამორჩენილ ალექს კაფის „ეროუზი“ გამოჩნდა. მენსელი ცოტათი შეყოვნდა და ალენ პროსტმა ისე ოსტატურად აუარა გვერდი ორივეს, რომ მაყურებელთა მხურვალე ტაში დაიმსახურა.

ალენ პროსტმა კვლავ ბრწყინვალედ იასპარეზა. სპეციალისტებმა მის ტაქტიკას „პროფესორის გაკვეთილი“ უწოდეს. ფრანგმა პილოტმა 43-ე და „ფერარის“ 101-ე „გრან პრი“ მოიპოვა. პროსტმა „ჰეთ თრიქი“ შეასრულა, სულ კი, წელს, მეოთხე ეტაპი მოიგო.

ალენ პროსტმა 64 წრე, ანუ 305,999 კმ სიგრძის მანძილი დაფარა 1 საათში, 18 წუთსა და 30,999 წამში.

ეტაპის საბოლოო შედეგი:

1. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი“) — 9; 2. ტიერი ბუტსანი (ბელგია, „უილიამს-რენო“) — 6; 3. აირტონ სენა (ბრაზილია. „მაკლარენ-ჰონდა“) — 4; 4. ერიკ ბერნარი (საფრანგეთი, „ლოლა-ლამბორგინი“) — 3; 5. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი“) — 2; 6. აუგური სუძუკი (იაპონია, „ლოლა-ლამბორგინი“) — 1 ქულა.

8 ეტაპის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა:

პირადი ჩათვლა:

1. ალენ პროსტი — 41; 2. აირტონ სენა — 39; 3. გერჰარდ ბერგერი — 25; 4. ნელსონ პიკე — 18; 5. ტიერი ბუტსანი — 17; 6-7. ნაიჯელ მენსელი, ჟან ალესი —13-13; 8. რიკარდო პატრეზე — 10; 9. ალესანდრო ნანინი — 7;10. ივან კაპელი — 6; 11. ერიკ ბერნარი — 4; 12-13. სტეფანო მოდენა, ალექს კაფი — 2-2; 14-16. დერეკ უორვიკი, სატორუ ნაკაჰიმა, აუგური სუძუკი — თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა.

1. „მაკლარენი“ — 64; 2. „ფერარი“ — 54; 3. „უილიამსი“ — 27; 4. „ბენეტონი“ — 25; 5. „ტაირელი“ — 14; 6. „მარჩი“ — 6; 7. „ლოლა“ — 5; 8-9. „ბრებემი“, „ეროუზი“ — 2-2; 10. „ლოტუსი“ — 1 ქულა.

ჩემპიონატის მეორე ნახევარი დაიწყება 29 ივლისს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, „ჰოკენჰაიმის“ ტრასაზე.

დავით ჩუბინიძე



კალეიდოსკოპი

● **ლილეჰამერის** ზამთრის ოლიმპიური თამაშების (1994 წელი) საორგანიზაციო კომიტეტმა ხელი მოაწერა კონტრაქტს კომერციულ ბანკთან — „კრედიტკასსენთან“. ბანკი, როგორც ოლიმპიადის პირველი ოფიციალური სპონსორი, ორგანიზატორთა ანგარიშზე გადარიცხავს 60 ათას ნორვეგიულ კრონს.

● **1992 წლის** 23 ივნისს ესპანეთის ჩრდილო სანაპიროზე სოფელ ემპერიესში სტარტს აიღებს ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა. 9516 მორბენალი გაივლის ქვეყნის 17 პროვინციას (4758 კილომეტრს) და ბარსელონაში ჩაიტანს საბერძნეთის მიწაზე ანთებულ ჩირაღდანს.

● **როგორც** დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან ნიჩბოსანთა (ბაიდარები და კანოე) პარიზის მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც 1991 წელს გაიმართება, გერმანია ერთიანი გუნდით იქნება წარმოდგენილი.

● **ბერლინში** შეიქმნა ოლიმპიურ ჩემპიონთა კავშირი, რომლის მიზანია ყოველმხრივ შეუშალოს ხელი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოსალოდნელ სპორტულ კრიზისს. ამ კავშირის დამფუძნებლები არიან წარსულში და ამჟამად სახელმოხვეჭილი ჩემპიონები: როზი აკერმანი, მარგარიტა გუმელი, პეტერ ფრენკელი, ვალდემარ ცერპინსკი, ფრანკ ულრიჰი, ვოლფგანგ ჰოპე და ფალკ ჰოლმანი. კავშირი გდრ-ისა და გფრ-ის ყველა ოლიმპიურ ჩემპიონს გაერთიანებისკენ მოუწოდებს.

● **1992 წლის** ალბერვილის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა ვარაუდით სპორტულ შეჯიბრებებს 3 ათასზე მეტი ჟურნალისტი მოემსახურება. არადა თვად ოლიმპიადაში გამოსვლის სურვილი 1500 სპორტსმენმა გამოთქვა. გამოდის, რომ ალბერვილში ყოველ სპორტსმენს „ორი პირადი“ ჟურნალისტი ეყოლება.

● **იორდანიის** მთავრობამ უარი თქვა აზიის მაგიდის ჩოგბურთელთა მეათე საიუბილეო ჩემპიონატის ჩატარებაზე. საერთაშორისო ფედერაციას კრიტიკულ მომენტში დახმარების ხელი გაუწოდა მალაიზიამ. იგი მზად არის მიმდინარე წლის 5-12 დეკემბერს ჩემპიონატს უმასპინძლოს. ვარაუდობენ, რომ მედლების შვიდი კომპლექტისთვის ერთმანეთს შეეცილება კონტინენტის 25 ქვეყნის 400-მდე მაგიდის ჩოგბურთელი.

● **ბრძანდება** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა მიგრაცია დასავლეთ გერმანიაში. განსაკუთრებით შავ დღეში აღმოჩნდა ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები. ამ დღეებში მისმა მეშვიდე წევრმა უვე ვაიდემანმა დატოვა გდრ. 27 წლის ფორვარდი ახალი სეზონიდან „ნიურნბერგის“ გუნდში ითამაშებს.

● **ბულგარეთის** ფიზკულტურისა და სპორტის კავშირმა თავის პლენარულ სხდომაზე დაამტკიცა 1990 წლის დარჩენილი ბიუჯეტი 71,75 მილიონი ლევის ოდენობით. როგორც ბტა-ს სააგენტო იუწყება, გასულ წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 2 პროცენტით ნაკლებია. ბიუჯეტის შემცირება ყველაზე მეტად ცენტრალურ აპარატს შეეხო. აქ მან 26 პროცენტი შეადგინა.

◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆

„სპორტპროგნოზი“

29-ე ტირაჟის შედეგები
(20-21 ივლისი)

1—2, 2—1, 3—1, 4—1, 5—X, 6—2, 7—2, 8—2, 9—1, 10—X, 11—2, 12—X, 13—2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. პირველი წყვილის შედეგი განსაზღვრულია წილისყრით.

რედაქტორის მაგიერ
თ. მიბრიაული

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ჩოჩიშვილი. კორექტორები მ. ძქძმიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-62,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-28, „მაჩავე“ — 93-97-27.

ჩვენი
ინდექსი:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით სავაჟეთო კორპუსში: ხოშტარიას, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 00356